ხელშეკრულება № 78

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი "28" ივნისი" 2014 წ.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის ქუჩა №16, ტელ: 2 261-337, საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №200122900 სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, სკ-204862078), შემდგომში წოდებული „შემსყიდველად", წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის **ლაშა ხუციშვილის** სახით და **ი/მ „თამარ ზურაბაშვილი"** (მის: ქ. რუსთავი, ტ. შევჩენკოს ქ, კორპუსი 3, ბინა 17, ტელეფონი: 5 58 60 56 12, საბანკო რეკვიზიტები: ანგ.№GE82BG0000000306478400 , სს „საქართველოს ბანკი", კოდი BAGAGE22, სკ-01001039396) შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად", წარმოდგენილი მისი დირექტორის **თამარ ზურაბაშვილის** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „მომსახურება" _ ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის აჭარის და გურიის სამმართველოს შენობის და მიმდებარე ტერიტორიის (ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ. №5ა) დასუფთავება და სანიტარული ღონისძიებები (მოვლა-დასუფთავება) (CPV კოდი - 90900000)

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **1800 (ერთი ათას რვაასი) ლარს.**

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. საქართველოს სამოქალაქო კოდექის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 %-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

4. მხარეთა მოვალეობები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის აჭარის და გურიის სამმართველოს შენობის და მიმდებარე ტერიტორიის (შენობა- 1626 კვ.მ; მიმდებარე ტერიტორია - 500კვ.მ) დასუფთავება და სანიტარული ღონისძიებები (მოვლა-დასუფთავება) უზრუნველყოს 2014 წლის 01 მარტიდან 2014 წლის 31 მარტის ჩათვლით; უზრუნველყოს შენობაში, სათავსოებში სანიტარულ-ჰიგიენური (დეზინფექცია, დეზინსექცია, დერატიზაციის ჩათვლით) და ხანძარსაწინააღმდეგო ნორმების დაცვა, შენობის და ტერიტორიის ყოველდღიური, ყოველთვიური გენერალური დასუფთავება (ოთახების, ფანჯრების ორმხრივი, კარ-ფანჯრის ჩარჩოების, ფარდაგების, კიბის უჯრედის, იატაკის რეცხვა-წმენდა) და ნაგვის გატანა, გარე ელექტროგანათებების წერსიგში მოყვანა, ყოველდღიურად უზრუნველყოს მორიგე დამლაგებლის მომსახურება, სველი წერტილების სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა (მინიმუმ დღეში 4-ჯერ სველი წერტილების დასუფთავება), მათ შორის ყოველდღიურად მათი აღჭურვა საჭიროებისამებრ მაღალი ხარისხის ტუალეტის ქაღალდებით, ხელის საწმენდი ქაღალდით, თხევადი საპნებით, ჰაერის გამწმენდი სტაციონალური აეროზოლებით. სანიტარულ-ჰიგიენური და სხვა დანიშნულების საქონლის ნიმუშები წინასწარ უნდა იქნას წარმოდგენილი და შეთანხმებული შემსყიდველთან, ხოლო მათი შეცვლა სხვა სახის საქონლით (ხარისხის გაუარესება დაუშვებელია) აუცილებლად უნდა იქნას შეთანხმებული შემსყიდველთან;

ბ) უზრუნველყოს შენობაში არსებული ელექტრომომარაგების, წყალმომარაგების, კანალიზაციის, გათბობის, საოფისე ინვენტარის და სხვა კომუნალური სისტემების გამართული ფუნქციონირება; უზრუნველყოს ჩილერის, დიზელ-გენერატორის, კონდიციონერებისა და გათბობის ქვაბის მოვლა-ზედამხედველობა (არსებობის შემთხვევაში), საკუთარი ხარჯებით შეასრულოს მცირე მიმდინარე რემონტი, მცირეფასიანი ელექტრომოწყობილობების, სანგაყვანილობების, სამეურნეო საქონლის შეცვლა–შეკეთება, (ჩამრთველების, საკეტების, ნათურების, სველი წერტილების ინვენტარების, ელექტრო, წყლის, კანალიზაციის, გათბობის და სხვა გაყვანილობების შეკეთება); გაუფრთხილდეს შემსყიდველის ქონებას, სისტემატიურად შეამოწმოს კომუნალური სისტემების მდგომარეობა და ოპერატიულად, საკუთარი ძალებით და სახსრებით აღმოფხვრას ყველა აღმოჩენილი ხარვეზი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საჭიროა კაპიტალური რემონტის ჩატარება;

გ) უზრუნველყოს დილის 9 საათიდან საღამოს 19 საათამდე მომსახურების გაწევა ტექნიკური პერსონალის და მორიგე დამლაგებლების საშუალებით, რომლებიც მუდმივად უნდა იმყოფებოდნენ ობიექტზე, ხოლო შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში 24 საათიანი მომსახურების გაწევა ერთი მორიგე დამლაგებლის და ერთი ტექნიკური პერსონალის საშუალებით. ასევე, 24 საათიანი მომსახურების გაწევა ერთი მორიგე დამლაგებლის საშუალებით, რომელიც უზრუნველყოფს შენობის 385 კვ. მ ფართის მომსახურებას;

დ) უზრუნველყოს მომსახურე პერსონალის მაღალი ხარისხის ფორმებით, აღჭურვილობით, ინვენტარით და სხვა სახარჯი მასალით სრულყოფილი მომარაგება;

ე) განახორციელოს შემსყიდველის ინფორმაციული უზრუნველყოფა გაწეული მომსახურების შესახებ;

ვ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე, დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

ზ) ხელი შეუწყოს შემსყიდველს ინსპექტირების განხორციელებისას;

თ) უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების განხორციელება.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს გაწეული მომსახურების წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის კონტროლი და დადებითი შეფასების შემთხვევაში მისი მიღება;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ხარისხი

ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

6.2 ინსპექტირებას განახორციელებენ: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს სპეციალისტი ნათია ტერტერაშვილი და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი ირაკლი დვალი, რომელთაც შეუძლიათ ინსპექტირება განახორციელონ როგორც ინდივიდუალურად, ასევე ერთობლივად.

6.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია, პერიოდულად ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნი გაწეულ მომსახურებაში, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიერ წერილობით დადგენილ ვადებში გამოასწოროს წუნი, ხოლო თუ მიმწოდებელი ვერ შეძლებს წუნის გამოსწორებას და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების ღირებულება.

6.4 თუ ამ მუხლის 6.3 პუნქტით გათვალისწინებული წუნის გამოსწორების ვადა სცილდება ამ ხელშკრულების მოქმედების ვადას, მიმწოდებლის მიერ წუნის გამოსწორება, ხოლო წუნის გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე.

7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების დადებითი დასკვნის საფუძველზე.

7.2 მომსახურების მიღებას აწარმოებს **მამუკა კვირიკაშვილი _ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი.**

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორების ვალუტა _ ლარი.

8.2 ანგარიშსწორების ფორმა _ უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.3 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული მომსახურების ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 20 (ოცი) დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო მოკლე ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა", „ბ", „გ" და „დ" ქვეპუნქტებით განსაზღვრული მომსახურების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ასეთ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.07%-ის ოდენობით.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების 6.3 პუნქტით გათვალისწინებული წუნის აღმოფხვრისათვის შეტყობინებით დადგენილი ვადის გადაცილების შემთხვევაში ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო წუნდებული მომსახურების ღირებულების 0.07%-ის ოდენობით.

10.3 თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ხელშეკრულებაში ცვლილების განხორციელება შესაძლებელია მხარეთა მიერ წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12.დავების გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

13.ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველი მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 2014 წლის 01 მარტიდან და მოქმედებს 2014 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

15.ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16.სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი_ შემსყიდველს.

17.მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №16
ტელეფონი: 2 26 13 37,
საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №200122900,
სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222,
სკ-204862078.

მიმწოდებელი

ი/მ „თამარ ზურაბაშვილი",
მისამართი: ქ. რუსთავი, ტ. შევჩენკოს ქ, კორპუსი 3,
ბინა 17,
ტელეფონი: 558 60 56 12,
საბანკო რეკვიზიტები:ანგ.№ GE82BG0000000306478400,
სს „საქართველოს ბანკი" კოდი BAGAGE22,
სკ-01001039396.

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

2014 წლის „28" „ივნისი"

ვადასტურებთ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის აჭარის და გურიის სამმართველოს შენობის (ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ. №5ა) დასუფთავების და სანიტარული ღონისძიებების (მოვლა-დასუფთავება) შესყიდვასთან დაკავშირებით გასაფორმებელ ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი _____ მამუკა კვირიკაშვილი

ინსპექტირების განმახორციელებელი პირი _____ ნათია ტერტერაშვილი

ინსპექტირების განმახორციელებელი პირი _____ ირაკლი დვალი

ხელშეკრულების დადებაზე უფლებამოსილი პირი _____ ლაშა ხუციშვილი